პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 132 (12340) | ხუთშაბათი, 7 ივნისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსავალს დაცდა არ უყვარს

ხორბლის ხვავი

მინდვრის ხომალდები ხორბლის ყანებში გუგუნებენ. მოწინავე ბაზზეა ყვარლის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის მექანიზატორი ზაალ სუხიტაშვილი. იგი კომბაინს შეუჩერებლივ ამუშავებს. ბუნკერიდან მარცვლის გადმოტვირთვას სვლის დროს ახდენს. მან ერთ დღეს 317 ცენტნერი მარცვალი გაგზავნა საველე საშრობში.

სუხიტაშვილი აგერ ორი დღეა მკის და ერთ ჰექტარზეც არ ყოფილა შემთხვევა, რომ 26-27 ცენტნერი არ გაელეწოს.

გიგა წმინდაშვილი შრომის ფრონტზე მამაცობს. რომელი კომბაინიც უნდა იყოს, მისთვის სულერთია. პირველი დღის შედეგით მაინც და მაინც კმაყოფილი არ დარჩა, ბუნკერიდან გადმოტვირთული 270 ცენტნერი ხორბალი მცირედ მიიჩნია. ყოველდღიურად 300-350 ცენტნერი იქნებაო—ამბობს. იგი და მის ნათესავში ეჭვი არავის ეპარება.

სოციალისტური შეჯიბრების კოცონ ანთია ფირუზ გულაშვილის აგრეგატზეც. ბუნკერი სწრაფად იცლება. ავტომანქანის მძღოლები ი. არჩუაშვილი, ლ. ტიღაშვილი, დ. გაგნიძე, ვ. დაუდაშვილი, რომელი ერთი ვთქვათ, ყველანი უნაკლოდ მუშაობენ. დღეში ათობით ტონა ხორბალს ეზიდებიან საშრობში.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წლების განმავლობაში აწარმოებენ ხორბლის ჯიშების გამოცდას. ამ საქმეს აგრონომი მიხეილ ზაალიშვილი მეთაურობს. „ადრეული თეთრი", ახლა რომ მკიან, ნატახტარის საცდელი სადგურიდან შემოიტანეს, გამოსცადეს და დარწმუნდნენ, რომ კარგია, ადრე მწიფდება, მოსავალს დიდს იძლევა, პური მაღალი ხარისხისა გამოდის. წელს „ადრეული თეთრი" ჰექტარზე 25-27 ცენტნერი მოდის.

მემინდვრეობის ბრიგადირს ვალერიან ჯამალაშვილს უქმად ვერ ნახავთ. მკა, მარცვლის გაწმენდა, ხვნა, ნაწვერალზე სიმინდის თესვა. ყველაფერს ყურადღება სჭირდება. ასწრებს კიდეც. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ არჩუაშვილიც დღე და ღამეს მინდვრად ატარებს.

— წელს, — თქვა მან, — ხორბალი 424 ჰექტარზე გვითესია. მოსავალს არ ვემდურით, მკას ათ სამუშაო დღეში დავამთავრებთ. თვითეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი ხორბლის მიღებას ვუპატაჟებთ სამშობლოს.

ახალსოფელი კოლმეურნეები პირუტყვის საკვების სიუხვისათვის იბრძვიან, ნამჯას საგულდაგულოდ ზვინავენ. მექანიზატორებმა თეიმურაზ ბუთიაშვილმა და შალვა წმინდაშვილმა ნაწვერალის ხვნა გაიჩაღეს, უშანგი სეფაშვილმა სიმინდის თესვა დაიწყო. იგი 250 ჰექტარზე უნდა დათესონ.

ს. ქოჩლაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: ზ. სუხიტაშვილი.

ქერის მკა დაამთავრეს

სილნაღი. (სპეც. კორ.). სოფელ ქვემო მაჩხაანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები ფულს მარცვლეულის დიდ მოსავალს ილებენ. აქ დროულად გაიმარა ქერის ყანები. კომბაინერებმა ნ. ჭუჭულაშვილმა, გ. ასანიშვილმა, გ. პუტრაიშვილმა, უ. მოსულიშვილმა და სხვა მექანიზატორებმა ისე წარგართვეს საქმე, რომ ქერის მკა 248 ჰექტარზე ოთხ დღეში დაამთავრეს.

მინდვრად გასული კომბაინერები დღეურ დაპალებას 140-150 პროცენტით ასრულებდნენ. ნაცვლად ნორმისა გათვალისწინებული 15 ცენტნერისა თვითეულ ჰექტარზე მათ 20 ცენტნერი ქერი აიღეს.

ქვემომაჩხაანელთა კომბაინებმა ახლა პურის ყანებში გადაინაცვლეს. კიდევ რამდენიმე დღე, და მძლავრი აგრეგატები ხორბლის აღებას შეუდგებიან.

მხარს უჭერენ კომბაინერ მიხეილ მჭედლიძის მოწოდებას

სიტყვას საქმედ ვაქცევ

როცა გაგეცანი ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის კომბაინერს მიხეილ მჭედლიძის მოწოდებას 10 სამუშაო დღეში თვითმავალი კომბაინით 150 ჰექტარზე პურეულის უდანაკარგოდ აღების შესახებ, გადავწყვიტე უფრო მეტი მოგმკა.

ალაზნის ველზე პურეულს უკვე ოქროსფერი დაედო. ამ დღეებში მკა გაჩაღდება. მე ძზად ვარ მოსავლის აღებისათვის. საგულდაგულოდ შევაკეთე კომბაინი, სათადარიგო ნაწილები და საწვავი მოვიმარაგე. ჩვენს კოლმეურნეობას პურეული ასაღები აქვს 700 ჰექტარზე. ვალდებულებას ვკისრულობ „ს-6" მარკის კომბაინით 10 სამუშაო დღეში პურეული ავიღო 160 ჰექტარზე, ყოველდღიურად გავლეწო 160-200 ცენტნერი მარცვალი.

ამ ვალდებულების უკეთ შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის შოფერ ალბერ ბანერის თეიმურაზ ხატიაშვილს.

გ. კაციაშვილი,

ახმეტის რაიონის სოფელ მატანის კოლმეურნეობის კომბაინერი.

პურეულს უდანაკარგოდ ავიღეგთ

მოხისელი კომბაინერები გულდასმით გაეცნენ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის კომბაინერის მ. მჭედლიძის წერილს პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

სოფელ მოხისის კოლმეურნეობის მექანიზატორები მზარს ეუჭერთ მ. მჭედლიძის თაოსნობას. ჩვენი აგრეგატის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს 10 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 180 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე გალეწოს 18-20 ცენტნერი მარცვალი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჩვენი რაიონის სოფელ ბრეთის კოლმეურნეობის კომბაინერთა აგრეგატს კოლექტივს, რომელსაც ა. ტატვინიძე ხელმძღვანელობს.

შ. მაისურაძე,

ქარელის რაიონის მოხისის კოლმეურნეობის კომბაინერი.

ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ ᲗᲘᲒᲜᲐ

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი პირველი შეუდგა ბალახის თიბვას.

თიბვას შეუდგნენ აგრეთვე შრომისა და კარდანახის მეგვნახვნობის საბჭოთა მეურნეობები, ვაზისუბნის, ჩუმლაყის, ჭანდრის და სხვა კოლმეურნეობები.

ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოში შემავალმა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის 1962 წლის პირველი ნახევრის გეგმა. წლის მეორე ნახევრის ანგარიშში სახელმწიფოსათვის მიყიდულია 30 ტონაზე მეტი ხორცი.

ტყიბული რაიონის მშრომელებმა ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 68 ტონა ხორცი მიჰყიდეს.

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ცხაკაიას ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ხაზით სულ მოკრეფილია 6.629 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 38,7 პროცენტს უდრის. ცხაკაიას რაიონის მეჩაიეებმა მოკრეფეს 1.300 ტონა, გეგეჭკორის — 2.880 ტონა, ჩხოროწყუს — 2.265 ტონა, აბაშის — 184 ტონა.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 5 ივნისისათვის ვადამდე შეასრულა ჩაის კრეფის ორი თვის გეგმა. მოკრეფილია 1.300 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად მაის-ივნისის გეგმით გათვალისწინებული 1.240 ტონისა.

მეურნეობამ იკისრა ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 450 ტონა ჩაის ფოთოლი და წლიური გეგმა შეასრულოს 65 პროცენტით.



გუშინ პლანტაციებში

წულუკიძე. ივანდიდის კოლმეურნეობაში ნელი ქუთათელაძემ ერთ დღეს მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ნაზი ჩიქოვანმა — 55, მერი კუპრეიშვილმა — 50 კილოგრამი.

სამტრედია. სოფელ ნოღის კოლმეურნეობის წევრმა ნაზი გეგუჩაძემ მოკრიფა 46 კილოგრამი „მწვანე ოქრო", ნანული ბოცვაძემ — 40, სოფელ ეწრის კოლმეურნეობის წევრმა ცისანა გიორგაიამ — 45 კილოგრამი.

ხობი. ლენა შამათავამ სოფელ საჯიჯაის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, თინა ოკუჯავამ — 65, ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მადარი ჯიშკარიანმა — 90, ციალა ჭილაიამ — 78, თალიკო ლომაიამ — 65 კილოგრამი.

წალენჯიხა. სოფელ ლიის კოლმეურნეობის წევრმა სულიკო სამუშიამ გუშინ მოკრიფა 100 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სოფიო შონიამ სოფელ ფახულარის კოლმეურნეობაში — 85 კილოგრამი.

ეს გოგონა ნელი თოლორაია ტახლავთ, ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელის კომუნიზმის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე. მან გასულ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და თანასოფლელ ქალიშვილებს მხარში ამოუდგა, ისეთი დღე არ ყოფილა 70-60 კილოგრამი ჩაი არ მოეკრიფოს. წელს ნელიმ გაიპიროვნა 0,4 ჰექტარი და გადაწყვიტა 4 ტონის ნაცვლად 5 ტონაზე მეტი ჩაი მოკრიფოს.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. **ბიწაძეს** დუშიკო სიმონის ასულს — კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ქალაქი ჭიათურა.
2. **გიიმათ** ახმედ ყზის — რუისბოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ქალაქ თბილისის სამგორის რაიონი.
3. **ყარაევას** მალა ჯავად ყზის — დიასახლისს, ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის გარდაბნის სადგური.
4. **კუძიევას** სოლუმა ზაქარიას ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის სოფელი დიდი ღრომი.
5. **მირზაევას** ჰაჯა ალაჰიარ ყზის — კოლმეურნეს, დმანისის რაიონის სოფელი იაკუბლო.
6. **რუხაძეს** ნადა ერისტოს ასულს — აბაშის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
7. **სადიკოვას** სინაიავარ იუსუფ ყზის— დიასახლისს, ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის სოფელი გარდაბანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. გრეჭნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 მაისი.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲒᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ

მოსკოვი, 5 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 28 მაისიდან 5 ივნისამდე საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა დაგომეის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი სურიმიგან აპიტი, რომელიც მეთაურობდა კეთილი ნების მისიას.

სსრ კავშირში ყოფნის დროს დაგომეის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი მიიღეს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა. ვიცე-პრეზიდენტის თანხლება პირნი შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრებს.

დაგომეელ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების ცალკეულ მხარეებს.

მოსკოვში გამართული საუბრების დროს მოეწყო აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-დაგომეის ურთიერთობის საკითხებზე და მშვიდობის ძირითად პრობლემებზე. საბჭოთა მხარემ დაადასტურა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს აფრიკის ხალხებს, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დამდნენ დამოუკიდებელი, და კერძოდ, დაგომეას. დაგომეის დელეგაციამ კმაყოფილებით მიიღო ცნობად ეს განცხადება და მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობას მუდმივი წვლილისათვის, რომელიც სსრ კავშირის ხალხებს დაუცხრომლად შეაქვთ ყოფილ კოლონიათა ხალხების განთავისუფლებისა და პროგრესის საქმეში.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი ერთსულოვანი თვალსაზრისით საჭიროა კოლონიალიზმისა და მისი ნაშთების სრული და დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია.

იმ პრობლემებზე მოლაპარაკების მსვლელობაში, რომლებიც ორივე მხარეს ეხება, ხელმოწერილია შეთანხმება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ საბჭოთა კავშირსა და დაგომეის რესპუბლიკას შორის და დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ. განხილული იყო აგრეთვე სსრ კავშირსა და დაგომეას შორის სავაჭრო და კულტურული შეთანხმების დადების საკითხები. მხარეებმა დათქვეს, რომ სავაჭრო და კულტურულ შეთანხმებებს, რომელთა ტექსტები პარაფირებულია მოსკოვში, ხელს მოაწერენ უახლოეს ხანში დაგომეის დედაქალაქში.

ᲙᲣᲑᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲜ

ოდესა, 6 ივნისი. (საკდესი). ოდესის ასობით ქალიშვილმა და ჭაბუკმა სამშობლოში გაიცალა თავისი კუბელი მეგობრები — ათასი ჭაბუკი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში სწავლობდნენ.

ნავსადგურში გაიმართა მიტინგი. გმირი კუბის შვილებს გზა დაულოცეს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ტ. ტრონკომ, ოდესის № 5 ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ გალინა პენდკომ, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ხ. ვეჩიროვმა. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე კუბელი ახალგაზრდობის წარმომადგენელმა ანოდელიო რამირესმა (მატანსასის პროვინციიდან), რომელმაც დამთავრა კიროვოგრადის ოლქის ბობრინეცის მექანიზაციის სასწავლებელი, და კუბის რესპუბლიკის სსრ კავშირის საელჩოს მდივანმა მანუელ გარსიამ.

ორკესტრის ხმებსა და მისასალმებელ შეძახილებში თბომავალი „საქართველო" ზღვაში გავიდა.

ᲛᲐᲛᲐᲓᲣ ᲓᲘᲐ ᲩᲐᲨᲙᲔᲜᲢᲡ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

მოსკოვი, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან ტაშკენტს გაემგზავრნენ სენეგალის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი მამადუ დია, სენეგალის რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას მამადუ დიას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ე. პ. ელიუტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მბრეკნი ბ. ფ. პოდცერობი, გენერალ-პრლკოვნიკი მ. ს. შუმილოვი და სხვები.

ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲖᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ

დუშანბე, 6 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით ტაჯიკეთის დედაქალაქ დუშანბეში გაიხსნა სრულიად საკავშირო სამეცნიერო სესია, რომელიც ეძღვნება საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების წინათ ჩამორჩენილ ხალხთა სოციალიზმისაკენ განვითარების არაკაპიტალისტური გზის კანონზომიერებებს. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, შუა აზიისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების გამოჩენილი მეცნიერები.

სამი დღის განმავლობაში სესიის მონაწილენი განიხილავენ 30-ზე მეტ მოხსენებასა და ინფორმაციას.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ საბჭოთა ჟურნალისტების, პრესის მუშაკების შრომას, რომლებიც შესებს აცნობენ დიდი ლენინის იდეებს, პარტიის ცოცხალ შემოქმედებითს სიტყვას, მიაჩნიათ ისინი კომუნიზმისათვის მებრძოლთა დიადი არმიის ერთ-ერთ მოწინავე რაზმად.

გაზეთ „პრავდის" 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, ნაყოფიერი მუშაობისათვის ჟურნალისტიკის დარგში, დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა პრესის, საგამომცემლო საქმის, რადიოსა და ტელევიზიის განვითარებაში პრესის მუშაკთა დიდ ჯგუფს მიეკუთვნა მთავრობის მაღალი ჯილდოები.

6 ივნისს ჯილდოები გადაეცა ქართველი ჟურნალისტების დიდ ჯგუფს. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ჟურნალისტები — გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, კორესპონდენტები, სტამბების მუშები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, გამომცემლობების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. **ზ. ბ. გელდიაშვილმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ს. ძოწენიძემ შრომის წითელი დროშის** ორდენი გადასცა „კომუნისტის" სტამბის დამკაბადონებელს **ს. მ. მამალაძეს.**

„საპატიო ნიშნის" ორდენი მიიღეს აფხაზეთის გაზეთ „აფსნი ყაშის" რედაქტორმა **ნ. ბ. კიუტმა,** „ზარია ვოსტოკაის" სტამბის დამკაბადონებელმა **ნ. ტ. კუიუმჯიანმა,** გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" რედაქტორმა **ვ. პ. მარღანიძემ** და სხვებმა.

„შრომითი მამაცობისათვის", ორიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის სტერეოტიპიორი **ვ. ვ. ბუჩუკური,** გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" რედაქტორი **გ. ს. სემიონოვი,** გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი **ა. ი. თომაძე,** საქალაქო გაზეთ „კუტაისკაია პრავდის" რედაქტორი **ვ. ი. ლალიაშვილი,** გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის მოადგილე **ი. ი. ხომერიკი** და სხვები.

მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის"** გადაეცათ გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მუშკორს, თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავს **ა. ე. ალექსეევს,** თბილისის ორთქლმავალ-ეგაონშემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის" რედაქტორს **ი. ა. ბოლქვაძეს,** გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილეს **გ. დ. ვარდოსანიძეს,** სარაიონთაშორისო გაზეთის „დროშის" რედაქტორს **დ. ი. გაბრიაძეს,** გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ფოტოკორესპონდენტს **მ. გ. კვირიკაშვილს,** ეურნალ „დროშის" რედაქტორს **ა. ვ. ძიძიგურს,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს მთავარმგნელს **მ. ა. ხუხუნაშვილსა** და სხვებს.

მათ შორის, ვინც მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის უკანასკნელ ცნობათა მთავარი რედაქტორი **ნ. ფ. აბზიანიძე,** გაზეთ „თბილისის" რედაქციის ლიტერატურული თანამშრომელი **ო. ე. გაგუა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის № 1 სტამბის მბეჭდავი **ზ. ნ. ლალიძე,** გაზეთ „მოლოდიოე გრუზიის" განყოფილების გამგე **ლ. ი. ოგანეზაშვილი,** გაზეთ „ვეჩერნი თბილისის" ლიტერატურული თანამშრომელი **ს. ვ. სვერდლინი** და სხვები, სულ 72 კაცი.

ამავე დღეს ამხ. **ძოწენიძემ** გადასცა სიგელები საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ ხელოვნების, განათლებისა და სხვა დარგების შესაკებს.

სიგელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მიიღო პროფესორმა **ა. ნ. ფალავამ,** რომელსაც ეს წოდება მიენიჭა დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით და თვალსაჩინო დამსახურებისათვის ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

გუნდის ლოტბარმა **ვ. ი. ბაბილუამ,** მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მთავარმა რეჟისორმა **ა. ა. გამსახურდიამ** და თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ოპერატორმა **ნ. პ. ნაგორნიმ** მიიღეს სიგელები საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭების შესახებ სიგელები მიიღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობმა **გ. პ. ოქროპირიძემ,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობმა **მ. დ. ვულფმა** და სხვებმა, სულ 8 კაცმა.

სახვითი ხელოვნების დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ მოქანდაკე **ბ. გ. ავალიშვილს,** გრაფიკოს **დ. ვ. ნაცვლიშვილს,** მხატვარ-დეკორატორს **თ. გ. თაბაგარს** და სხვებს. სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული ხელოვნების მოღვაწეთა საპატიო წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს უფროსის მოადგილეს **დ. ი. ბაქრაძეს,** თბილისის ავტომატიზაციის ხელსაწყოთა და საშუალებათა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროს ტექნოლოგიური განყოფილების უფროსს **ა. ი. ბერიშვილსა** და სხვებს.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ **ა. გ. ცომაიამ** მიიღო სიგელი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდების მინიჭების შესახებ, რომელიც მას მიეკუთვნა დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით და დიდი ხნის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

განათლების მუშაკთა დიდ ჯგუფს გადაეცა სიგელები საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, რომლებიც მათ მიეკუთვნათ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და ბავშვების კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის.

თბილისის №4 ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატმა **ი. გ. ლინოვმა** მიიღო სიგელი საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის წოდების მინიჭების შესახებ.

გადაეცათ აგრეთვე სიგელები საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორმა **მ. კ. გოლოვასტიკოვმა,** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საასკოლო ინსპექტორმა **ე. ვ. აღლაძემ,** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ **ა. გ. ცომაიამ,** რომლებიც დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ, სულით და გულით გადაუხადეს მადლობა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. მათ თქვეს, რომ უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური შენებლობის ამოცანათა გადაჭრაში.

ამხ. **გ. ს. ძოწენიძემ** გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და ახალი დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა დიდსა და მნიშვნელოვან მუშაობაში.

(საკდესი).

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

6 ივნისს მოსკოვში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირში მონაწილეობენ აღნიშნული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები და მთავრობათა მეთაურები.

თათბირი განიხილავს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საკითხს.

„ᲡᲐᲡᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲒᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ"

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ გაშლა და სრულყოფა, ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, სკკპ ახალ პროგრამაში განხილულია როგორც სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარი მიმართულება კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებულს „სახელმწიფოს მართვაში მასების ჩაბმის შესახებ", რომელიც ეროვნული ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა.

მართვაში მშრომელთა ჩაბმა ვ. ი. ლენინს მიაჩნდა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მთელი მუშაობის გაუმჯობესების ქმედითს საშუალებად, ბიუროკრატიზმის, გაჭიანურებისა და სხვა ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის ნაცად საშუალებად. ვლადიმერ ილიას-ძე მშრომელთა ჩაბმას მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში უწოდებდა „შესანიშნავ საშუალებას", რომელიც აათკეცებს სახელმწიფოს ძალას და, რომელიც არასდროს არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ ჰქონია და არ შეიძლება ჰქონდეს.

კრებულის მთელი რიგი დოკუმენტები მოწმობს, თუ როგორ აყენებდა ლენინი პრაქტიკულად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში მშრომელთა, რიგით მუშათა და გლეხთა მონაწილეობის საკითხებს.

კრებულის მასალები გვიჩვენებენ, რომ, სახავს რა სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების მთავარ მიმართულებას, პარტია ადგას დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას. (საკდესი).

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲖᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

სტავროპოლის მხარე. ორასზე მეტი კაცი ისვენებს და მკურნალობს ესენტუკის ახალ, სეჩენოვის სახელობის სანატორიუმში. მათ შორის არიან სამამულო ომისა და შრომის ინვალიდები. **სურათზე:** სანატორიუმის საერთო ხედი.

ფოტო **ვ. მიხალევისა.**

(საკდესის ფოტო-ქრონიკა).

პარტიული ცხოვრება

ცოდნის ძაღა

ნინა დღის წაწყმიმი იყო. ხალიჩასავით მოხატულ ტირიფონის ველს ოქროვანი ასდიოდა. მიწა პირს აშრობდა. კოლმეურნეობის მექანიკოსი ივანე კრავჩენკო ბილიკს მისდევდა „სათოფლიასკენ“. იქაურობა მწვანე კვადრატებს მოეხატა. საამოდ ამოზრდილიყო „მინდვრის დედოფალი“. ნაშუადღევს აქ შესაძლებელი იქნებოდა კულტივაციის დაწყება. ტრაქტორისტმა დავით მაზანაშვილმა გუშინვე მიიღო ეს დავალება. მანამდე დრო არის. ივანე რუს პირას ქვაზე ჩამოჯდა, კონსპექტს დაუწყო ფურცვლა. საღამოს საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელი სემინარის შემაჯამებელი მეცადინეობაა დანიშნული და იქნებ იქ მოუხდეს გამოსვლა, გიახსენებს ადგილებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამიდან. უკრაინელ კრავჩენკოს მეორე მშობლიური ენა ქართულია, ლაპარაკობს, წერს...

„რა არის უძირითადესი და უმთავრესი კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე გადასასვლელად?“ — ამოიკითხა და პასუხიც გასცა. მერე წუთით სხვა ფიქრები აღეძრა, ღრმად ამოისუნთქა და გულში გიმეორა: „ყველა მშრომელმა კარგად უნდა იცოდეს თავისი ადგილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუჩვისათვის ბრძოლაში. ამის ნათელსაყოფად უბის წიგნაკში კოლმეურნეობის ცხოვრებიდან აღებული ციფრები ჩაიწერა.

გუგუნის ხმამ დაარღვია ივანე კრავჩენკოს მეუდრობა. დავით მაზანაშვილმა კულტივატორჩამოკიდებული ტრაქტორი შეიყვანა მიწის ფართობში.

— რას იტყვი, დავით, დედის რძესავით მოუხდება გუშინდელი წვიმა ნათესებს, არა? — ჰკითხა ტრაქტორისტს კრავჩენკომ.

— გაიცოცხლა ყველაფერი!

— ახლა შენ იცი, როგორ ისახელებ თავს!..

— მართლა, ივანე, პარტბიუროს მდივანმა დამაბარა სალამოს სემინარის შემაჯამებელ მეცადინეობაზე არ დაგაგვიანდესო! ხომ იცოდი?

— ვიცოდი და „გამოცდებისთვისაც“ მზად ვარ, — ფიცხლად მიუგო ივანემ.

...ნაშუადღევს სოფელ ზერტის (გორის რაიონი) მინდვრებში სიმინდის კულტივაცია გაჩაღდა. მარტო იმ ერთ დღეს ეს სამუშაო 25 ჰექტარზე შესრულდა.

სალამოს კოლმეურნეობის კანტორაში თავი მოიყარეს საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელი სემინარის წევრებმა, ბევრი პირდაპირ მინდვრიდან მოვიდა. აქვეა სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი, პროპაგანდისტი გიორგი ტიელიძე.

მეცადინეობა დანიშნულ დროზე დაიწყო. პრომპაგანდისტის კითხვაზე — „რას წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოება?“ — პასუხისგან მიცემის სურვილი გამოთქვა კომუნისტმა ოთარ ცარიელაშვილმა. იგი შრომაში გაკაჟებული საშუალო ტანის კაცია. სიმინდის და ბაჟრის ჭარხლის მაღალი მოსავლის მოყვანით სახელი გაითქვა კოლმეურნეობაში. მისმა ბრიგადამ გასულ წელს თვითეულ ჰექტარზე მარცვლად 40 ცენტნერი სიმინდი და 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო.

ცარიელაშვილმა თანმიმდევრულად და დამაჯერებლად ისაუბრა კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირებაზე. აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში პარტიის მიერ გაკეთებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, მოიყვანა ასეთი ფაქტი: 1965 წლისათვის ზერტში უნდა გაშენდეს 116 ჰექტარი ხეხილის ახალი ბაღი და 48 ჰექტარი ვენახი. უკვე გაშენებულია 130 ჰექტარი ხეხილის ბაღი. ახალი ბაღების გაშენების შვიდწლიანი დავალება სამ წელიწადშია განაღდებული.

ამასთან მან ყურადღება მიაქცია ხეხილის ბაღების შემჭიდროებულად გაშენებას. თქვა, რომ ძელიერ საძირეებზე დამყნობილ ნერგთან ერთად უნდა ვრგავდეთ ნაგალა ჯიშის ნერგს. ასეთ ბაღებში ადრე იწყება მსხმოიარობა, მცირდება ხარჯები.

ცარიელაშვილს მხარი დაუჭირა კოლმეურნე გიორგი თოდაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ძველ ბაღებში ჯერ კიდევ მოსპობილი არ არის მეჩხერიანობა. ეს ამცირებს მოსავლიანობას და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

თოდაძემ ილაპარაკა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობაზე. თქვა, რომ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის სისწორეში კოლმეურნეები ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით სულ უფრო და უფრო თვალსათლივ ვრწმუნდებითო.

ფეხზე წამოდგა შავგვრემანი ჭაბუკი, მემინდვრეობის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი ზაკარია ზუბიაშვილი.

— მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვით კოლმეურნეობაში ყოველწლიურად მცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თვითღირებულება. შარშან, წინა წელთან შედარებით, ცენტნერი სიმინდის მოყვანა 3,8 მანეთით იაფი დაგვიჯდა. 100 ჰექტარ ფართობზე სიმინდი კომპლექსური მექანიზაციით, ხელით შრომის გამოუყენებლად მოვიყვანეთ.

— მაგრამ მთლიანად ვიყენებთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვებს? — იკითხა პროპაგანდისტმა.

— არა! — წამოიძახეს აქეთ-იქეთან.

— ჩვენმა მეზობლებმა, — ზეიდულეთელმა მექანიზატორებმა, — თქვა კოლმეურნეობის ბუხმალტერმა ანდრო მიჩტაშვილმა, — შარშან 80 ჰექტარ ფართობზე შაქრის ჭარხალი ხელით შრომის გამოუყენებლად მოიყვანეს, ისე, როგორც ამას სახელგანთქმული ყუბანელი მექანიზატორი ვლადიმერ ხვეტლიჩნი აკეთებს. ჩვენ რატომ არ ვბაძავთ მათს მაგალითს?

შრომის ანაზღაურების პროგრესულ ფორმებზე, შემოსავლიანობის ამაღლების გზებზე, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზებზე და სხვა საკითხებზე ილაპარაკეს აგრეთვე მსმენელებმა სერგო სიდამონიძემ, არმენ ტერუნაშვილმა და სხვებმა.

შემაჯამებელი მეცადინეობა ჩვეულებრივზე მეტხანს გაგრძელდა. მსმენელებმა კარგი ცოდნა გამომჟღავნეს. ისინი საკითხს განმარტავდნენ კოლმეურნეობის ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებთან მჭიდრო კავშირში. სემინარში მიღებული ცოდნა აცისკროვნებდა მათს ნათელ აზრებს, საქმეს...

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დიდი ქიმიის დიდი მომავალი

ეკონომიური კონფერენცია რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში

ბოლო დროს ეკონომისტებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა ბევრი ილაპარაკეს ქიმიის ეკონომიკურ ეფექტზე. ეს ეფექტი ნამდვილ ფასს ანიჭებს ქიმიურ ნედლეულზე, ენერგიაზე, ტრანსპორტზე, ადამიანურ ძალაზე, ფულზე, ინვესტიციებზე, ფონდებზე, ბანკებზე, ფასებზე, ანგარიშებზე, ბალანსებზე, ანარიცხებზე, ფინანსებზე, ბიუჯეტებზე, ბონუსებზე, ბარტერებზე, ბალანსებზე, ბალნეოლოგიაზე, ბალეტებზე, ბალეტმაესტროებზე, ბალეტმასტერებზე, ბალეტომანებზე, ბალეტომანიაზე, ბალეტომანიერებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიანებზე, ბალეტომანიერებიან

ხალხი გმობს ამერიკელ მეატომეებს

საზღვარგარეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე

ბერლინი, 5 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სელივერსტოვი იუწყება:

საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის ატომური იარაღის აფეთქებათა შესახებ დიდ სიმაღლეზე გამოწვეულია ზრუნვით კაცობრიობის ერთა ხმას, განაგრძობენ პოლიტიკას, რომელიც იწვევს გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, მის გავრცელებას კოსმოსზეც. ამერიკის ატომური პოლიტიკის ეს მავნე გამოვლინება ამერიკის მთელი მეტად აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსის ნაწილია.

ატომური იარაღის გამოცდის ახალი ავანტიურის დროს ამერიკის შეერთებული შტატები არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ ავანტიურას შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს ადამიანთა სიცოცხლისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების უგუნური მოქმედება ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას და მთელ კაცობრიობას.

ბერლინი, 5 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „რუდე პრავო“ კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გამოსცადონ ატომური იარაღი დიდ სიმაღლეზე და დღეს წერს:

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მოურიდებლად უგულებელყოფენ მილიონობით ადამიანის აზრს და მსოფლიოს მეცნიერთა ხმას, განაგრძობენ პოლიტიკას, რომელიც იწვევს გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, მის გავრცელებას კოსმოსზეც. ამერიკის ატომური პოლიტიკის ეს მავნე გამოვლინება ამერიკის მთელი მეტად აგრესიული საგარეოპოლიტიკური კურსის ნაწილია.

ატომური იარაღის გამოცდის ახალი ავანტიურის დროს ამერიკის შეერთებული შტატები არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ ავანტიურას შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს ადამიანთა სიცოცხლისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების უგუნური მოქმედება ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას და მთელ კაცობრიობას.

დელი, 5 ივნისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის ატომურ აფეთქებათა შესახებ დიდ სიმაღლეზე — ძალიან მნიშვნელოვანი და დროული ნაბიჯია, განაცხადა საკდესის კორესპონდენტი-სათვის მიცემულ ინტერვიუში სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ. უკვე თვით ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ განაახლა ატომური იარაღის გამოცდა იმ დროს, როდესაც ჟენევაში მიმდინარეობს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, მეტყველებს კაცობრიობის ინტერესთა უგულებელყოფას, თქვა რომეშ ჩანდრამ. მსოფლიოს ყველა ადამიანის ვალია, რომლებისთვისაც მშვიდობა მთავარი სიმდიდრეა, პროტესტი განაცხადონ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების წინააღმდეგ.

სასარგებლო შეხვედრა

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). სენდერსტედის „სელსდონ-პარკ-ოტელში“, ლონდონის ახლოს სამ დღეს მიმდინარეობდა 48 ინგლისელი, პოლონელი, საბჭოთა და ამერიკელი ჟურნალისტის არაოფიციალური საუბრები — „მრგვალი მაგიდის“ კონფერენცია.

კონფერენციის საერთო თემა იყო თანაარსებობის პირობები, რომელმაც შესაძლებელი გახადა აზრთა გაზიარება საკითხთა ფართო წრის გამო, რომლებიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობას, ნათქვამია კონფერენციის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

„სელსდონ-პარკ-ოტელში“ შეხვედრის მონაწილეთა მეტი წილი, აღნიშნულია კომუნიკეში, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჟურნალისტების ასეთი საუბრები მომავალშიც სასარგებლოა. ეს საუბრები გაუადვილებენ სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს ერთმანეთის თვალსაზრისთა გაგებას.

„სელსდონ-პარკ-ოტელში“ შეხვედრა მოიწყო ინგლისის გაზეთების რედაქტორთა ჯგუფის ინიციატივით.

ფაშიზმს გზას გადაუღობავს ხალხი

მორის ტორეზის გამოსვლა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). ამას წინათ გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი. იგი შეჩერდა ორ საკითხზე: საგაფიცო მოძრაობის ზრდა და ფაშიზმის საფრთხის გაძლიერება საფრანგეთში.

მ. ტორეზი შეეხო იმას, რომ მშრომელი მასების ცხოვრების პირობები უარესდება, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიუხედავად და თქვა: ეს ადასტურებს, რომ სწორია საფრანგეთის კომპარტიის ყრილობათა თეზისები დე გოლის ხელისუფლების ხასიათისა და მისი სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის რეაქციული შინაარსის შესახებ. ეს ადასტურებს 81 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა თათბირის თეზისს იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ძლიერდება მშრომელი მასების ექსპლოატაცია.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა შემდეგ გააანალიზა იმ მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელიც წარმოებს მშრომელთა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში.

მორის ტორეზი შემდეგ გადავიდა ფაშისტური საფრთხის გაძლიერებისა და სახელმწიფოს ფაშიზაციის გაძლიერების საკითხზე და ხაზი გაუსვა, რომ ფაშისტური საფრთხე ვლინდება არა მარტო მკვლელთა ტერორისტული საქმიანობით, არამედ იმითაც, რომ ხელისუფლებს ნებაზე ჰყავთ მიშვებული ფაშისტები.

ნებაზე მიშვება, მთავრობის მონაწილეობა აშკარაა, განაცხადა ტორეზმა. ობიექტურად არ შეიძლება სერიოზული დარტყმა მიაყენო შენს გეშინდელ და ხვალინდელ მოკავშირეებს, და აქ განსაკუთრებით ჩანს დე გოლის როლი.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ილაპარაკა პირადი ხელისუფლების რეჟიმის გაძლიერებაზე, რომლის საფუძველია მონოპოლიათა ძლიერება, და ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად ფაშიზაციის ახალ გაძლიერებას ვხედავთ. „ჩვენ,—განაცხადა მან,—იქით მივდივართ, რომ ფაქტიური დიქტატურა დამყარდეს ჩვენს ქვეყანაში, კვლავ შესუსტდეს და დამცირდეს დემოკრატია... საჭიროა შეიცვალოს ეს სისტემა, რათა საბოლოოდ აღმოიფხვრას ფაშისტური საფრთხე“.

ამისათვის, განაგრძო საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება. ხალხის ბრძოლა, მასების მოქმედება, ყველა მშრომელის, ყველა რესპუბლიკელის ერთობლივი ბრძოლა. ერთიანობას ისეთი პროგრამის საფუძველზე, რომელიც შეესაბამება მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ინტერესებს, შეუძლია გამოიწვიოს ენთუზიაზმი მშრომელებში და უზრუნველყოს მუშებისა და დემოკრატიული ძალების გამარჯვება.

მ. ტორეზი შემდეგ შეეხო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს. ჩვენი ორი ქვეყნის ინტერესები, თქვა მან, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება დედამიწის არც ერთ ნაწილში, ამ ორი ქვეყნის თავდაცვის ინტერესები მოითხოვენ მუდმივ მეგობრობასა და თანხმობას.

ორატორმა აღრეთვე აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომუნისტების პროგრამა—საფრანგეთში ნამდვილი დემოკრატიის აღდგენის პროგრამა უწინარეს ყოვლისა არის მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანების საფუძველი, რომელიც გზას უხსნის იმას, რომ საზოგადოება უფრო სრულად გარდაიქმნას მშვიდობიანი საშუალებებით.

მორის ტორეზმა აღნიშნა, რომ მომავალი ბრძოლა ძნელი იქნება და დიდ ღონისძიებებს მოითხოვს პარტიისაგან და განაცხადა: ამჟამად ფაშიზმის მზარდი საფრთხის წინაშე მთავარი ის არის, რომ მშრომელებს და ხალხს მივცეთ მკაფიო პერსპექტივა, ვუჩვენოთ მათ, რომ ჩვენ წინ ვერ წავალთ, თუ არ გავერთიანდით.

ფრანკო: „ალო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, საბერძნეთში თავშესაფარს ვერ მიშოვნით?“

კარამანლისი: „რას ბრძანებთ! მე თვითონ ვაპირებდი თქვენთვის მეთხოვა ეს!“

პლაკატებზე წარწერებია: „ძირს ფაშიზმი!“, „გაუმარჯოს დემოკრატიას!“, „ძირს დიქტატურა!“.

ნახატი ბერძნულ გაზეთ „ავგიდან“.

ჯოსმოსი — ადამიანთა კეთილდღეობას

ი. ა. გაგარინის განცხადება საკდესის კორესპონდენტს

კაცობრიობამ დაიწყო კოსმოსის ათვისების ერა. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა საერთაშორისო თანამშრომლობის მეთხებით მას შეუძლია დაჩქარებული ტემპით აწარმოოს მიწისახლო სივრცის შემდგომი შესწავლა, ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა — განახორციელონ ატომური აფეთქებანი დიდ სიმაღლეზე, მნიშვნელოვან ხიბნელებს ქმნის ამ გზაზე.

ატომური აფეთქებანი დიდ სიმაღლეზე ქმნის საფრთხეს, რომ გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მომავალ კოსმონავტთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც კი. ამას გარდა, ასეთ აფეთქებებს შეიძლება მოჰყვეს, კერძოდ, რადიოკავშირის დროებით დარღვევა დიდ სივრცეებზე. სწორედ ამ დარგში კი საერთაშორისო თანამშრომლობა უკვე ახლა ყველაზე რეალურია. ამაზე ილაპარაკეს მეცნიერებმა კოსმოსური სივრცის შემსწავლელი საერთაშორისო კომიტეტის ამასწინანდელ სესიაზე ვაშინგტონში.

პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის პასუხად აღიარა, რომ კოსმოსის გამოკვლევა წარმოადგენს ფართო ასპარეზს საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობისთვის. მაგრამ ეს მარტოოდენ განცხადებად რჩება. გეგმავენ რა ატომური იარაღის გამოცდებს კოსმოსში, ამერიკის შეერთებული შტატები ვერაგობას ამჟღავნებენ: მაშინ, როცა ჩვენს ქვეყნებს შორის წარმოებს მოლაპარაკება კოსმოსის ერთობლივი მშვიდობიანი გამოყენების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატები სიტყვით მხარს უჭერენ ასეთ თანამშრომლობას, საქმით კი სურთ გამოიყენონ კოსმოსი სამხედრო მიზნით. მაგრამ იმის იმედი, რომ ასეთ აფეთქებებს შეუძლიათ უზრუნველყონ ამერიკის შეერთებული შტატების რაიმე სამხედრო უპირატესობა ჩვენს დროში, ყოველ შემთხვევაში, გულუბრყვილობაა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ პასუხისმგებლობით, გულწრფელი სურვილით მივუდგებით კოსმოსური სივრცის ერთობლივი შესწავლის საკითხს, უკვე ახლა შეიძლება მოვაწესრიგოთ ამ საქმეში სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა აქტიური თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს ადამიანთა ინტერესებისათვის.

ჩვენთვის, კოსმონავტებისათვის, რომლებიც ვიყავით მიწისახლო სივრცეში, ამ საკითხში თანამშრომლობის იდეები განსაკუთრებით მახლობელი და გასაგებია. ამიტომ ჩემი ამხანაგების სახელით მხურვალედ მივესალმები საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ გამოცადონ ატომური იარაღი დიდ სიმაღლეზე. განცხადებაში სამართლიანად აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ღონისძიებანი კოსმოსში საბჭოთა კავშირს დააყენებს იმის საჭიროების წინაშე, რომ მიიღოს ამ პირობებში შესაბამისი ღონისძიებანი თავისი უშიშროების, სოციალისტური და ყველა მშვიდობიმოყვარე ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმ ფაქტის შეუწყნარებლობა, როცა ამერიკის შეერთებული შტატები წინასწარგანზრახვით უგულებელყოფენ ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს, უგულებელყოფენ თვალსაჩინო მეცნიერთა ავტორიტეტულ აზრს, რომლებსაც უკეთ, ვიდრე ვინმეს, ესმით, რა მოულოდნელობანი შეიძლება მოუტანოს ადამიანებს ატომური იარაღის გამოცდამ კოსმოსის უკვლევ სივრცეებში.

და რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია: ცნობილია, რომ 4 ივნისის ცდა განეხორციელებინათ აფეთქება დიდ სიმაღლეზე კუნძულ ჯონსტონზე გაშვების სისტემის უწესივრობის გამო მარცხით დამთავრდა. მაშასადამე, ამერიკელები მზად არიან აწარმოონ ეს აფეთქებანი ისე, რომ არ იყენენ ჯერ-ჯერობით სრულად გულდასმით მომზადებულნი, რაც გვიჩვენებს ყველაზე მძიმე და საშიშ შედეგებს.

დასასრულ მინდა მოვუწოდო შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ყველა მეცნიერს, ამერიკელ ასტრონავტებს, რომ მტკიცე პროტესტი განუცხადონ ამერიკის შეერთებული შტატების იმ წრეებს, რომლებსაც სურთ სამხედრო მიზნით გამოიყენონ კოსმოსური სივრცე. კოსმოსი ადამიანთა კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს!

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა. ბრაშოვის ქარხანა „რულმენტული“ ბურთულაკისარებს ამზადებს. ამას წინათ ქარხანაში დადგეს 40 ბურთულსახეხი მანქანა, რამაც 20 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

სურათზე: სამონტაჟო საამქრო. კონტროლიორი ბელაშა ასანიეი მუშაობის დროს.

ფოტო „ჟერპრეს-საკდესისა“.

ვინ უშლის ხელს განიარაღებას?

18 სახელმწიფოს კომიტეტში

ჟენევა, 5 ივნისი. საკდესის სპეც. კორესპონდენტი ა. კისლოვი იტყობინება:

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში გრძელდება დისკუსია საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება, ძირითადად, განიარაღების პირველ ორ ეტაპსა და საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ პირველი ხელშეკრულების კარის სამუშაო პროექტს, რომელიც კომიტეტის განსახილველად წარმოადგინეს მისმა თანათავმჯდომარეებმა. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის თავმჯდომარეობით გამართულ კომიტეტის პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ რუმინეთის, ბულგარეთის, ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები.

გამოსულთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობის განცხადებას ამერიკის ატომურ აფეთქებათა შესახებ დიდ სიმაღლეზე. შეეხნენ რა ამ განცხადებას, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა, კერძოდ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მარცხი ამერიკელთა ცდისა გაეშვათ ატომური ჭურვიანი რაკეტა, რათა აეფეთქებინათ იგი დიდ სიმაღლეზე, კიდევ უფრო ბაზს უსვამს იმას, რომ სწორი და აქტიალური საბჭოთა მთავრობის განცხადება, რადგან ამჟამად ჯერ კიდევ ძნელია წარმოვიდგინოთ, თუ რა საფრთხეს გვიქადის ამერიკის ჭურვი, რომელიც ოკეანის ფსკერზეა.

ინდოეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადება გამოხატავს მთელი მსოფლიოს შეშფოთებას და კვლავ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აგვას მტკიცე და მკაფიო პოზიციას, როცა ილაშქრებს ატომური იარაღის ყველა და ყოველგვარი გამოცდის წინააღმდეგ ყოველ დროში და ყოველ ადგილას, ყველა გამოცდა, თქვა მან, უნდა შეწყდეს, და ამ საკითხზე შეთანხმების მტკიცე და საიმედო საფუძველი შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს რვა ნეიტრალისტური ქვეყნის მემორანდუმი.

შემდეგ ინდოეთის წარმომადგენელი შეეხო იმ უთანხმოებათა ანალიზს, რომელიც არსებობს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებს შორის საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ პირველი ხელშეკრულების კარის სამუშაო პროექტის გამო, და სავსებით დაუჭირა მხარი საბჭოთა თვალსაზრისს იმ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომ საჭიროა დაწესდეს განიარაღების მთელი პროცესის მტკიცე საერთო ვადა, შეტანილ იქნეს ხელშეკრულებაში დებულება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები უნდა აღიჭურვონ მხოლოდ არა ატომური იარაღით და სხვ.

იტალიის დელეგატმა მიმზიდველი უწოდა საბჭოთა წინადადებებს. მაგრამ იკისრა უმადლო შრომა და ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს ეს წინადადებანი ილუზორულია, რამდენადაც ვითომდა არ უზრუნველყოფენ მსოფლიოში არსებული „წონასწორობის“ დაცვას განიარაღების ყველა ეტაპზე.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, რომელმაც მტკიცედ განუცხადა კომიტეტის წევრებს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები არ ეწინააღმდეგებიან ატომური იარაღის მოსპობას. მაგრამ მან არ მოიყვანა რაიმე ახალი მოსაზრება ამ განცხადების დასადასტურებლად, დასკვრდა კომიტეტში უკვე დიდი ხანია უარყოფილი არგუმენტების განმეორებას. მან ჩამოთვალა ამერიკის ძველი წინადადებანი, და კვლავ ჰიპერ ალნზე დააყენა კონტროლის საკითხები.

დღეგანდელ პლენარულ სხდომაზე უკანასკნელმა აიღო სიტყვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა. მან აღნიშნა ინდოეთის წარმომადგენლის მთელ რიგ წინადადებათა კომპრომისული ხასიათი და თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია მზად არის მიიღოს ეს წინადადებანი. ვ. ა. ზორინმა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას სთხოვა გარკვეული პასუხი გასცეს კითხვაზე, ეთანხმება თუ არა ამ წინადადებას.

შემდეგ იგი წარსულ პლენარულ სხდომაზე ზოგიერთ გამოსვლასთან დაკავშირებით კვლავ შეეხო სამხედრო ხარჯების შემცირების, ასეთი შემცირებისა და დაზოგილი სახსრების გამოყენებისადმი კონტროლის საკითხებს.

საბჭოთა მთავრობა, თქვა მან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამხედრო ხარჯების შემცირებას. თავისთავად ეს შემცირება დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ქმნის დამატებითს გარანტიებს, რომ განიარაღება ნამდვილად მტკიცე იქნება და არ შეიქმნება შეიარაღებული ძალები და შეიარაღება.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სსრ კავშირის ყველა წინადადებაში, რომლებიც ოდესმე წამოუყენებია საბჭოთა მთავრობას, უცვლელად შედიოდა დებულებანი სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ.

მსგავსად იმისა, როგორც ეს არის განიარაღების ყოველი ღონისძიების მიზართ, ხელშეკრულების საბჭოთა პროექტი ითვალისწინებს საიმედო კონტროლს სამხედრო ხარჯებისა და ასიგნებათა შემცირებისადმი, თქვა შემდეგ ვ. ა. ზორინმა.

ვ. ა. ზორინმა ანალიზი გაუკეთა ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის შესაბამის დებულებებს და კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ ისინი ითვალისწინებენ შემცირდეს სახსრების გამოყოფა სამხედრო მიზნით ყოველი სახით, როგორც სახელმწიფო ორგანოების ხაზით, ისე კერძო პირებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხაზით.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა წარმომადგენელმა მოიყვანა მრავალი მაგალითი, როცა უდიდესი კაპიტალისტური მონოპოლიები თავიანთი საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ იარაღსა და დაქირავებულ კერძო ბრიგებს.

რური მაგნატთა როლი ჰიტლერელთა ბანდების, ხოლო შემდეგ რაიხსვერის შეიარაღების შემმნელი, რომელმაც თავს დაატეხეს ევროპასა და მთელ მსოფლიოს მეორე მსოფლიო ომი, „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ კორპორაციის საქმიანობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში და „იუნიონ მინიერის“ კონცერნისა — კონგოში, განაცხადა ვ. ა. ზორინმა დასასრულს, — ყოველივე ეს მოწმობს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეცნიერო ასიგნებათა, არამედ ყველა ასიგნების აკრძალვას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო პირთა ხაზით. სწორედ ამიტომ საბჭოთა დელეგაცია დღეგანდელ მოითხოვს შესაბამისი დებულების შეტანას ხელშეკრულების პროექტის იმ მუხლის პროექტში, რომელიც ეხება საერთო ვალდებულებებს განიარაღების დარგში.

ამით დამთავრდა დღეგანდელი პლენარული სხდომა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **პრაღაში** დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „პრაღის გაზაფხული“. ფესტივალი 24 დღეს გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში გაიმართა 48 კონცერტი და 33 საოპერო სპექტაკლი, რომლებსაც დაესწრო 100.000 ჩეხოსლოვაკელი და უცხოელი მუსიკის მოყვარული.

□ **სახელმწიფო** ცენტრალური თოჯინების თეატრის გასტროლები დაწყო ბრიუსელში ს. ობრაზცოვის ხელმძღვანელობით. თეატრის პირველ სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. უახლოეს დღეებში მოსკოველ მსახიობთა სპექტაკლებს ნახავენ ანტვერპენის, ლიეჟის, შარლერუას და ბელგიის სხვა ქალაქების მაყურებლები.

□ **უნგრეთში** დამთავრდა ტრადიციული „წიგნის კვირეული“, 7 დღეში გაიყიდა დაახლოებით 16 მილიონი ფორინტის თანხის მილიონნახევარამდე წიგნი.

□ **მადრიდში**, ბარსელონასა და ასტურიაში ფრანკოს პოლიციამ დააპატიმა 100-მდე კაცი, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი დემოკრატიული განწყობილებით, დაპატიმრებულთა შორის არიან ხელმძღვანელები და აქტიური წევრები განთავისუფლების სახალხო ფრონტისა, რომელიც ფრანკოს ხელისუფლებმა აკრძალეს.

□ **ჩინეთის** პროვინცია გიანსუში მთავრდება ჩაის ფოთლის საგაზაფხულო კრეფა. უკვე მოკრეფილია 1.850 ცენტნერზე მეტი. ჩაის პლანტაციებს პროვინციაში უკავია 5,8 ათასი ჰექტარი — სამჯერ მეტი, ვიდრე 1957 წელს.

□ **მთელი** რიგი გაზეთები გამოხატავენ ირანის საზოგადოებრიობის ფართო ფენების აზრს და მოუწოდებენ ირანის მთავრობას დაუყოვნებლივ დაადგეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების გზას და უარი თქვას ეგრეთწოდებულ ამერიკულ დახმარებასა და ამერიკულ სესხებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება ირანისადმი, ხაზს უსვამს გაზეთი „სედე მარდომი“, „ირანელი ხალხის აზრით იმის საშუალებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ირანის მთავრობასა და ხალხზე ზეგავლენას ახდენდნენ და აშკარად ერეოდნენ ჩვენს საშინაო საქმეებში“.

შეწყდეს ლაოსში პროვოკაციები!

პეკინი, 6 ივნისი. (საკდესი). ლაოსის ეროვნული სამხედრო საბჭო მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის იმპერიალიზმისა და მის თანამზრახველთა სამხედრო პროვოკაციები ლაოსის წინააღმდეგ, აგრეთვე დაუყოვნებლივ გაიყვანონ მათი ჯარები ლაოსის მიწა-წყლიდან.

საბჭოს განცხადებაში, რომელიც „გუშინ გადასცა რადიოსადგურმა „ლაოსის ხმამ“, იუწყება სინხუას სააგენტო, აღნიშნულია, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ამ ბოლო დროს განუწყვეტლივ პროვოკაციებს აწყობს ლაოსის წინააღმდეგ და შეიჭრა მის ტერიტორიაზე. 27 მაისს ამერიკის ჯარები დიდ სამხედრო წვრთნას ეწევოდნენ ტაილანდ-ლაოსის საზღვარზე. ამერიკის შეერთებული შტატების პატრულთა შენაერთები ტაილანდის ტერიტორიიდან დაიძრნენ ხეეიასის მიმართულებით და ახორციელებდნენ „მოჩხრეკის“ ოპერაციებს 15 კილომეტრზე ამ ქალაქის ჩრდილოეთით. მათ დაიკავეს პაკ-ბენგი ლუანგ-პრაბანგის პროვინციაში.

ლაოსის ეროვნული სამხედრო საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმისა და მის თანამზრახველთა სამხედრო პროვოკაციების შეწყვეტა და მათი ჯარების გაყვანა ლაოსიდან და ტაილანდიდან შექმნიდა პირობებს, რომლებიც საჭიროა სამ პრინცს შორის მოლაპარაკების წარმოებისათვის და კოალიციური მთავრობის შესაქმნელად.

წყალდიდობა პოლონეთში

ვარშავა, 6 ივნისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ხანგრძლივი წვიმების შედეგად პოლონეთში ადიდდა ვისლა და მთელი რიგი სხვა მდინარეები. წყალდიდობა საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს. უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია უკვე ასობით ოჯახი. ქემეუვის სავოევოდოში წვიმებს მოჰყვა დიდი წყალდიდობა. სანში მდგომარეობა შეიქმნა ვისლაზე ტარნობჟეგის რაიონში. მდინარის დონე ერთი მეტრით ასცდა საგანგაშოს და კვლავ მაღლა იწევს, კოკისპირულმა წვიმებმა მატარებლების მოძრაობა დაარღვიეს ლუბლინოსა და კელეცკის სავოევოდოებში. სპეციალური ბრიგადები დღე-ღამის განმავლობაში ამაგრებენ წყლით გადარეცხილ ყრილებს.

რამდენიმე ათეულ საათს გაგრძელდა ბრძოლა იმისათვის, რომ გადაერჩინათ დამცველი ზვინული მდინარე კამენაზე (ვისლის შენაკადი) ქალაქ ოსტროვეცის მახლობლად. მიუხედავად იმისა, რომ ზვინული გამაგრებული იყო ქვიშიანი ტომრებით, დღეს დილით წყალმა გაანგრია დამცველი ზვინული და ქალაქს მიაწყდა.

საჩუქარი დიქტატორს

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, მელბურნის დოკერებმა დღეს უარი თქვეს დატვირთათ საიგონს მიმავალი ჰოლანდიის გემი ეკლიანი მავთულით, რომელსაც ავსტრალიის მთავრობა სანუქრად უგზავნის ნგო დინ დიემს. მათ შეწყვიტეს მუშაობა, როცა შეიტყეს, რომ ეს მავთული განკუთვნილია საკონცენტრაციო ბანაკებისათვის სამხრეთ ვიეტნამში.

პარლამენტის წევრთა მეშვიდეგა

ლონდონი, 6 ივნისი. (საკდესი). პარლამენტის ლეიბორისტი წევრები გუშინ თემთა პალატაში დაკენებით მოითხოვდნენ, რომ პრემიერ-მინისტრს გამოეთქვა აზრი პრესის ცნობის გამო იმის შესახებ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ დე გოლთან მოლაპარაკების დროს მან გამოიჩინა მზადყოფნა ხელი აიღოს თანამეგობრობის ქვეყნებთან ტრადიციულ სავაჭრო კავშირზე.

მაკმილანმა განაცხადა, რომ არ სურს გასცდეს კომუნიკეს, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა დე გოლთან მისი მოლაპარაკების შემდეგ და თავისი უარი პასუხი გასცეს მიცემულ კითხვებზე დაასაბუთა იმით, რომ ეს საუბრები კონფიდენციალური იყო. მაკმილანმა აღნიშნა, რომ ინგლისის მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ შესვლის საკითხზე მიმდინარეობს სტადიობით და განაცხადა, რომ საბოლოო შედეგები შეიძლება ცნობილი გახდეს ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლის კვალობაზე.

რა მოუვიდა ჯურვს?

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფრიმენი იუწყება:

მთელმა კაცობრიობამ გადაჭრით დაგმო შეერთებული შტატების გეგმები — მოაწყონ ატომური აფეთქებანი დიდ სიმაღლეზე, ამასთან საბჭოთა კავშირი აღნიშნა, თუ რა საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ აფეთქებებს ადამიანებისათვის. მაგრამ სერიოზულ საფრთხეს ქმნის გუშინდელი უშედეგო ცდაც, მოუწყოთ პირველი ასეთი აფეთქება.

ცნობილია, რომ რაკეტა „ტორი“, რომელსაც მიჰქონდა ატომური ჭურვი, მოსპეს დედამიწიდან იმის გამო, რომ მოიშალა დამიზნების სისტემა, და მისი ნამსხვრევი ჩაცვივდა ზღვაში, რა მოუვიდა ჯურვს?

აღელვებული კორესპონდენტები ჰონოლულუში ცდილობენ ინფორმაცია მიიღონ „სპეციალური დანიშნულების რაზმის“ წარმომადგენლისაგან, რაზმისა, რომელიც ამ ატომურ გამოცდას აწარმოებს. რა მდგომარეობაშია ატომური ჭურვი ამჟამად? კითხულობენ ისინი. „სპეციალური დანიშნულების რაზმის“ წარმომადგენელმა ეს არ იცის. შეუძლია თუ არა მლაშე წყალით გამოწვეულ კოროზიას მოჰყვეს ატომური ჭურვის აფეთქება, თუ ეს ჭურვი დიდხანს იდება წყნარი ოკეანის ფსკერზე? წარმომადგენელმა არც ეს იცის. იგი ვერ იძლევა პასუხს აგრეთვე კითხვაზე, არსებობს თუ არა იმის საფრთხე, რომ ჭურვი გამოასხივებს რადიოაქტიურ სხივებს. მისი სიტყვით, ეს მეცნიერული საკითხებია და ვაშინგტონმა უნდა გასცეს პასუხი.

მაგრამ ვაშინგტონი დუმს. ეტყობა იქაური პოლიტიკური „სტრატეგები“ და პრომპანგანდისტები ცდილობენ რაიმე ახსნა შეთხზან, რათა მიაძინონ მსოფლიო საზოგადოებრიობის სიფხიზლე.

მასობრივი დაპატიმრება მვატემალაში

ჰავანა, 5 ივნისი. (საკდესი). გვატემალის დიქტატორ იდიგორას ფუენტესის პოლიცია მასობრივ დაპატიმრებას აწარმოებს გვატემალის დედაქალაქში.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, პარტიზანთა ფრონტის ხელმძღვანელის მარკო ანტონიო იონგ სოსის ძებნას სამბმთ პოლიციის აგენტები იჭრებიან ოპოზიციის მოღვაწეთა სახლებში და ჩხრეკას აწარმოებენ. დიდძალ დაპატიმრებულებს სამხედრო ტრიბუნალს გადასცემენ.

საბჭოთა ფოსტა

ბერლინი, 6 ივნისი. (საკდესი). ბერლინის ფოსტა ეცნობა, რომ ბერლინ

საქართველოშიც მღეროდა...

ლეონიდ სობინოვის დაბადების 90 წლისთავის გამო

სობინოვი განსაკუთრებული მოვლენაა რუსული ვოკალურ-სცენური ხელოვნების ისტორიაში. მან ღირსეულად დაიპყრო საოპერო ხელოვნების უმაღლესი მწვერვალი.

ბევრი ფიქრობდა, რომ სობინოვი ბედის ნებიერია, სახელი და დიდება ადგილად და უზრუნველად მოიპოვა, მაგრამ ნამდვილად კი დიდი მშრომელი, მუყაითი, საქმის ერთგული, თავდადებული ადამიანი იყო.

ხალხის სიყვარული და პატივისცემა მუდამ თან სდევდა „ამ უდიდესი ნიჭის ადამიანს. სადაც კი რუსეთის ხმატკბილი ბულბული გამოსულა, ჭეშმარიტად მოუხიბლავს მსმენელი. სობინოვი ყველას უყვარდა. რუსეთში მყოფი ქართველები ხშირად ესწრებოდნენ სობინოვის კონცერტებს.

1924 წლის გაზაფხულზე ლ. სობინოვმა თბილისშიც იმღერა, მან აქაც არ დაივიწყა მშრომელი ხალხი, მუშები და საგანგებო კონცერტი გაუმართა, რითაც დიდად აღაფრთოვანა ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრიობა.

ერთი წლის შემდეგ სობინოვი კვლავ თბილისშია და მღერის ლენსკის, ლონგრინის, რომეოს პარტიებს. მქუხარე ტაშით აჯილდოებდნენ მსმენელები მის ყოველ გამოსვლას. იო რას ეკითხულობთ რეცენზიაში 21 აპრილს გამართულ სპექტაკლზე:

„თქმაც არ არის საჭირო, თუ სიმღერის რა დიდი ოსტატი ასრულებდა რომეოს და რა თბილად მიიღო ხალხმა ეს მომხიბლავი არტისტი. არაჩვეულებრივი სითბოთი და ექსპრესიით შეასრულა სობინოვმა მზისადმი მიმართული კავატინა, რისთვისაც იგი დაჯილდოებულ იქნა შეუწყვეტელი ტაშით. ეს კავატინა მისი შესრულებით ყღერდა როგორც სიყვარულისა და სილამაზის ჰიმნი“.

ერთ-ერთი ქართველი რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ სობინოვმა ლენსკის და ლონგრინის პარტიები ისე იმღერა, როგორც „უდიდესმა მხატვარმა და მომღერალმა, რომელზეც წლებიც კი არ მოქმედებენ“.

ლ. სობინოვს, როგორც დიდ მოქალაქეს, საბჭოთა ინტელიგენციის უნიჭიერეს წარმომადგენელს, ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა მშრომელი ხალხი. იგი გულწრფელად აცხადებდა, რომ ხელოვნების მუშაკთათვის არ არსებობს იმაზე მეტი სიხარული, ვიდრე ხალხის კეთილდღეობას და ბედნიერებას ემსახუროო.

სობინოვი კეთილი განწყობილებით ადევნებდა თვალყურს ამიერკავკასიის მუსიკალურ ცხოვრებას. იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ახლადშექმნილ ნაწარმოებებს და განსაზღვრავდა მათს მნიშვნელობას მთელი მსოფლიოს მუსიკალური კულტურისათვის.

ამ მხრივ მას არც საქართველო გამორჩენია ყურადღებიდან. აი რას წერდა სობინოვი ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაზე:

„ახლა თბილისში... მიმდინარეობს არაჩვეულებრივი კულტურული მუშაობა ხელოვნების აღორძინებისათვის, რაც უთუოდ ბევრ საუნჯეს შეიტანს საერთო ადამიანურ საგანძურში. ამჟამად თბილისში უკვე დაწერილია რამდენიმე დიდად ნიჭიერი ოპერა ქართულ მელოდიებსა და სიუჟეტებზე“...

განსაკუთრებით უყვარდა ლ. სობინოვს სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელიც ასევე უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას გამოთქვამდა მისდამი. დაბადების 50 წლისთავთან და შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ იუბილეზე სტუდენტმა ახალგაზრდობამ ამ სიტყვებით მიმართა სობინოვს: „ურმეს სიმპათია, რომელიც ყოველთვის ცოცხალი შემაკავშირებელი, რგოლი იყო სტუდენტთა და თქვენს მორის, განსაკუთრებით უნდა განმტკიცდეს ახლა, ახალ სტუდენტობასა და უკვე არა „სიმპერატორორ“, არამედ მუშათა და გლეხთა დიდი თეატრის უნიჭიერეს მუშაკს შორის“.

გამოჩენილი მომღერალი დიდი გულისხმიერებით და მონდომებით ეხმარებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას მას არასოდეს არ უთქვამს უარი მონაწილეობა მიეღო საქველმოქმედო კონცერტში, რომელსაც სტუდენტი ახალგაზრდობა მართავდა. ცნობილია, თუ რა მადლიერების გრძნობით აღსავსე იყო ქართველი სტუდენტობა მისდამი.

ლ. სობინოვის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა დიდმა ქართველმა მომღერალმა ვანო სარაჯიშვილმა. თვითონ ბულბული ლ. სობინოვი ქართველ ბულბულს უწოდებდა ვანოს და ამით იგი ვოკალური ხელოვნების ოსტატის უმაღლეს მწვერვალზე აყავდა. ბედნიერად თვლიან თავს ის ადამიანები, ვისაც ამ ორი ბულბულისათვის თუნდაც ერთხელ მოუსმენია და უნახავს საოპერო სცენაზე ან საკონცერტო ესტრადაზე. რამდენი რამ ჰქონდათ საერთო სცენის ამ უბადლო ოსტატებს.

პირადად მჭონია ბედნიერება შევხვედროდი ვ. სარაჯიშვილს ამ ორმოცი წლის წინათ, როცა ს. ინაშვილთან ერთად მღეროდა კონცერტზე ქუთაისში, შემდეგ თბილისში. დიდად მაინტერესებდა მისი რჩევა-დარიგება ამა თუ იმ საკითხზე, სიმღერის სწავლას, მომღერლის აღზრდას რომ ეხებოდა. ვ. სარაჯიშვილი მუდამ სიამოვნებით გვიხსნიდა სიმღერის ყველა საიდუმლოებას. იგი ხშირად მიმართავდა დიდ მომღერალთა ავტორიტეტს. სობინოვი, როგორც ადამიანი და ბრწყინვალე მსახიობი-მომღერალი იდეალი იყო ვ. სარაჯიშვილის წარმოდგენაში.

„თქვენ ყოველთვის იყავით მაღალნიჭიერი, შესანიშნავი მომღერალი, კეთილი, მგრძნობიარე, გულისხმიერი ადამიანი, საზოგადოებრივი მუშაკი. ყოველთვის სარგებლობდით საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით“, — მიმართავდა სობინოვს დიდი რუსი რეჟისორი კ. ს. სტანისლავსკი.

„მინდოდა შენთვის მადლობა მეთქვა იმ დიდი სიხარულისათვის, რომელიც ღღეს განვიცადე, კონცერტზე რომ მოგისმენიე... მსურდა ხელი ჩამომერთმია, მაგრამ... შენ უკვე მოასწარი და, როგორც ეს ბულბულს შეჰფერის, ფრთები გაშალე და გაფრინდი. გმადლობ მსუბუქი, ნათელი, გულიდან ამონაკვნესი მზისათვის“, — სწერდა ლ. სობინოვს ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ ვ. ი. კაჩალოვი.

მარადუკვდავია ლეონიდ ვიტალის-ძე სობინოვის სახელი საბჭოთა ხალხის გულში, მან ჭეშმარიტად დაიმკვიდრა ყველა მშრომელთა სიყვარული, უდიდესი პატივისცემა.

ვ. ხმალაძე,
პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათზე: ლეონიდ სობინოვი ლენსკის როლში („ევგენი ონეგინი“). თბილისში ყოფნის დროს ლ. სობინოვმა სურათი სამახსოვრო წარწერით აჩუქა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ძველ მუშაკს, თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების ტრფიალს თამარ მაკარის ასულ ჭავჭავაძეს, რომელიც იმხანად თეატრის არქივს განაგებდა.

ჩამოვიდა სოფელში...

ფელეტონი

ჩამოვიდა სოფელში
აგრონომი თალიკო,
თმაშეჭრილი გოგონა
სადგურთან შემდგარიყო.

წინ მოხუცი შემოხვდა,
კოლმეურნე ზაქარა,
აგრონომმა თავისი
განზრახვა ვერ დაფარა.

და შესძახა ზაქარას:
— გზა მასწავლე, ბიძია...
— როგორ! ქალაქელებმა
სალამი არ იციან?!
გამარჯობა მითხარი...

— გამარჯობა...
— სად მიხვალ?
— აღმასკომი მასწავლე!
— სულ მანქანით წაგიყვან!

აღმასკომი რათ გინდა?
— თქვენს სოფელში დამნიშნეს,
აგრონომი ქალი ვარ...

— გაუმარჯოს „ბარიშნებს!“
ჩაჯექ, რისთვის ბრაზდები,
ასე რაღამ აგანთო!
— გამიგონე, ბიძია,
საიდუმლოს გაგანდობ!

მე შეკითხვებს მოგცემ და
მიპასუხე, კეთილო,
აქ ვერც მამა მომხვდავს
და ვერც ჩემი დედილო!

სოფლად როგორ გავჩერდე,
სულ ამის ფიქრს ვუნდები,
თუ არ მოიმწონება,
უკანვე გავბრუნდები.

ალბათ მოწყენილი ხართ,
კინო თქვენში იციან?
— ახალ სურათს უშვებენ
სულყოველდღე, ბიძია!

კულტურის სახლს გაჩვენებ,
ავ თვალს არ ენახვება —
ტელევიზორს დაგიდგამთ,
წასვლა თუ გენაღვლება.

— ყურნალ-გაზეთს ღებულობთ?
— ეგ რა საკადრისია...
— შუქი თუ გაქვთ სოფელში...
— ღამე ვით დღე — ისეა!

— გზები როგორიღაა?
— სულ ასფალტი აგია...
— წარმოდგენებს თუ დგამენ?
— იშვიათი კარგია!
წუხელ იყო „ოტელო“,
ამზადებენ „ყაჩაღებს“.

— შუქი რომ ჩანს, იქ რაა?
— ჩვენი პარკი ჩახჩახებს...

თბილისიდან ბრძანდებით?
— დიახ!
— კარგად მეყოლე!
ისეთ კითხვებს იძლევი
ინგლისელი მეგონე!

კ. გოგიაშვილი.

შემცვლელები?
ეს შეუფერებელია!

„მუდმივი“ ფანერა. მოსულმა ფეხსაცმელი დიდხანს ატარიალა ხელში, შემდეგ მხრები აიჩეჩა და კვლავ მაგიდაზე დადო. ისე ჰგავდნენ ერთმანეთს სილამაზით, ელეგანტურობითა და სიმსუბუქით, რომ გამოცნობა მართლაც ძნელი იყო.

— წინასწარ გაუფრთხილებლად ვერაფრით გაარჩევთ, — გაიღიმა ვლადიმერ როგოვმა, რეზინის ლაბორატორიის გამგის მოადგილემ, — განსაკუთრებული რეზინაა. გარეგნულად თითქმის არაფრით არ განსხვავდება ნატურალური ტყავისაგან. ხარისხი კი ბევრად უკეთესია.

ფიროვანი მასალებისა და ხელოვნური ტყავის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რეზინის ლაბორატორიაში დამუშავებულ ტყავის შემცვლელ რეზინს ჩვეულებრივი რეზინისაგან განსხვავებით შესანიშნავი პლასტიკური თვისებები აქვს. ასეთი ლანჩიანი ფეხსაცმლით სანუკვარძლივი სიარულის დროსაც კი არ გეღლებათ ფეხი. ასეთი ლანჩა ნატურალურ ტყავზე სამჯერ უფრო გამძლეა. ამავე დროს იგი ძალზე მსუბუქი და თხელია — მთელი ფეხსაცმელი ნახევარჯერ მცირდება. ასეთი სამოდელო ფეხსაცმლისათვის საშიში არ არის წვიმა და ჭყაპი: ლანჩა წყალგაუმტარია.

მაგალითად, ცნობილია, რომ ჩვეულებრივი ქუსლი, სწრაფად იცვითება. საჭირო ხდება მისი ხშირი შეკეთება. მაღეცცვიადია რეზინის ქუსლიც. მაგრამ განსაკუთრებული გზით ავსებული ქუსლი რეზინის ქუსლზე ოთხჯერ მსუბუქია და უფრო გამძლე.

ზამმარული ქუსლის შემქმნის აზრი დაბადა... საავტომობილო საბურავმა. მათი ჰაერიანი კამერა შესანიშნავ ამორტიზაციას ქმნის.

როგოვმა გვიჩვენა მოვარდისფრო, უჩვეულოდ მსუბუქი და რბილი მასალა. ეს არის ახალი ღრუბლისებური საფენები. ზამთარში ისინი ბეწვის საფენზე უკეთ ათბობენ ფეხს. ზაფხულში კი ასეთ საფენიან ფეხსაცმელში ფეხი ყოველთვის მშრალია. ფიროვანი მასა სიარულის დროს თვითონ ქმნის ვენტილაციას.

სინთეზური კარავი. ასეთი მსუბუქი გადასაკანი სახლი ბევრ მეცხოველეს მოუვა თვალში. რვაკუთხოვანი, კონუსის მსგავს სახურავიანი სწრაფად იშლება ღა იწყობა, ადვილია მისი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

შალის ქეჩისაგან დამზადებული კარავი მძიმეა, ძვირი ჯდება და ნაკლებად გამძლეა.

ახალი კარვები ადრინდელზე უფრო ვრცელია, გამძლე და იაფი.

— ეს კარავი კი არა, დასასვენებელი სახლია! — თქვა მწყემსმა, რომელსაც სთხოვეს ახალი კარვის გამოცდა, — აქ სისუფთავეც არის და სილამაზეც.

ფირი ფანერის ნაცვლად. ჩვეულებრივ ავეჯს სილამაზისათვის ხის ძვირფასი ჯიშის ფანერით აპირკეთებენ. ასეთი სამუშაო დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. მაგრამ აი ჩვენ წინ არის სხვადასხვა ფერის ფირფიტები, შესანიშნავად გაკრიალებული და ძვირფასი ფანერისაგან დამზადებულს არაფრით არ ჩამოუვარდება. პოლიეთილენტერეფტალური ფირი სწრაფად ეწებება ხეს და ავეჯს ელეგანტურ ელფერს აძლევს.

ასეთი ავეჯი ირეცხება თბილი წყლით, იწმინდება ჩვრით. ფიროვანი ზედაპირი ძალზე იაფი და გამძლეა.

ახლო მომავალში ჩვენი ბინები პოლიეთილენტერეფტალური ფირის სამფეთ გახდება. სამზარეულოში, სააბაზანოში ფიროვანი ზედაპირი შეცვლის — ძვირ, მძიმე და ძალზე არაპრაქტიკულ კერამიკულ ფირებს. ქაღალდამოკრული ფირი შეიძლება გააკრათ შპალერის ნაცვლად ოთახის კედლებზე, ტალანში.

ასეთი შპალერი ადვილად ირეცხება საპნითა და ცხელი წყლით.

ინსტიტუტში დამუშავებულია პოლიეთილენის ფირზე მრავალფეროვანი ბეჭდვის მეთოდი.

ფიროვანი მასალების ლაბორატორიაში შექმნილია მრავალნაირი ლამაზი ფირი საგალანტერეო ნაწარმისა და დეკორაციული ქსოვილებისათვის: ფარდებისათვის, სუფრისათვის, ვაკუუმური დაყალიბებიზ მეთოდით შესაძლებელია ფირზე ყოველგვარი ნახატის გადატანა. ასეთი ფირისაგან დამზადებული აბაჟური უფრო იაფია, ვიდრე აბრეშუმისა და მას გაცილებით უკეთესი შუქტეხვიკური თვისებები აქვს.

ბევრი ახალი სინთეზური მასალისათვის დიდი ხანია უკვე შეუფერებელია სახელწოდება „შემცვლელი“. დიდმა ქიმიამ შესაძლებელი გახადა სრულიად ახალი მასალების შექმნა, რომლებსაც უდიდესი უპირატესობა აქვთ დღემდე არსებულ მასალებთან.

სააგენტო „ახალი ამბები“.

დღეს ჩილეში

დღეს ჩილის სტადიონებზე გაიმართება მესამე ტურის დასკვნითი შეხვედრები. ბამოვლინდება მეოთხედფინალში მონაწილე ყველა გუნდი. აი ვინ ითამაშებს დღეს.

არიკაში: კოლუმბია — იუგოსლავია;

სანტ-იაგოში: შვეიცარია—იტალია;

ვინია-დელ-მარში: მექსიკა — ჩეხოსლოვაკია;

რანკაგუაში: ბულგარეთი — ინგლისი.

„ვლადიმერ რეინჯერსი“ „დინამო“ — თბილისი

გუშინ თბილისში „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ შოტლანდიის ცხობილი გუნდი „გლაზგო რეინჯერსი“ — ბრიტანული ფეხბურთის წარმომადგენელი და თბილისის „დინამო“.

მატჩი მოიგეს სტუმრებმა, მინიმალური ანგარიშით 1:0.

შოტლანდიელი ფეხბურთელების ეს მეორე გამარჯვებაა საბჭოთა კავშირში. მათ ამ რამდენიმე დღის წინათ დაამარცხეს მოსკოვში ადგილობრივი „ლოკომოტივი“ (3:1).

ჩემპიონატის კურიოზები

არიკა, 6 ივნისი. (სააგენტო ახალი ამბების სპეც. კორესპონდენტი). ყველაზე ახალი ამბავი, რაც ჩილის დღევანდელმა გაზეთებმა გვაუწყეს არის ის, რომ ფეხბურთის „მეფე“ — პელე სულ მცირე 10 დღის განმავლობაში ვერ გამოჯანსაღდება, პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ პელე ბრაზილიის ნაკრებიდან გამოთიშულია.

მოულოდნელად ჰოსპიტალში აღმოჩნდა შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი, რომელმაც ვარჯიშის დროს ფეხი იღრძო. ახლა შვეიცარიელები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან დამარცხების იმითაც ხსნიან, რომ ისინი მოწინააღმდეგის კარის აღებაზე იმდენად არ ფიქრობდნენ რამდენად თავისი მწვრთნელის მდგომარეობაზე, მიუხედავად ამისა მათ განზრახული აქვთ 2 ქულა მაინც წაიღონ სახლში იტალიელებისაგან.

როდესაც ვლაპარაკობთ ვარჯიშზე და რეჟიმზე საქმე გვაქვს სხვადასხვაობასთან. ყოველ გუნდს გამომუშავებული აქვს თავისი სისტემა. ავიღოთ კვების საკითხი. უნგრეთის გუნდი, რომელიც საერთოდ არ უჩივის კვებას ჩილეში, განიცდის მათთვის ძვირფასი უნგრული წიწაკის ნაკლებობას. უნგრელებმა ბუდაპეშტში სასწრაფო თხოვნა გაგზავნეს, რომ უახლესი თვითმფრინავით გამოგზავნონ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით წიწაკა.

ესპანელებმა ჩილეში იმდენი ზეითუნის ზეთი ჩაიტანეს, რომ ერთ თვეზე მეტს ეყოფათ. ჟურნალისტები დაწვრილებით აღწერენ გუნდების საყვარელ კერძებს. მაგალითად ჩილეში კარგად არის ცნობილი, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელები უპირატესობას ახალი პამიდორის სალათას აძლევენ. ჩეხებს კი უყვართ ბანანი და პური თაფლით.

ისიც უნდა ითქვას რომ ერთი წყება გუნდების რეჟიმი დიდათ განსხვავდება სხვებისაგან, მაგალითად ბრაზილიის გუნდის მწვრთნელი სასტიკად გაუჯავრდა გარინჩას იმიტომ, რომ მას წონაში ასი გრამი მოუმატია. იტალიელები კი სრულებით არ ზრუნავენ ამაზე. ერთ-ერთმა მოთამაშე ენზო რობოტიმ ისე ივახშმა, რომ ორ დღეს ვერ მიიღო მონაწილეობა ვარჯიშში.

ო. იბნატიევი.

სურათზე: აი ასე — პოლიციელთა დახმარებით მოხერხდა გათავხედებული იტალიელი თავდამსხმელის ფერინის მინდვრიდან გაძევება. ჩილისა და იტალიის გუნდების შეხვედრის დროს მოთამაშეებს შორის წამდაუწუმ იმართებოდა ხოლმე მუშტი-კრივი.

სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა მეშვიდე ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის.

I ქვეჯგუფი

ალმა-ათაში ადგილობრივმა „კაირატმა“ მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „დინამო“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დონეცკის „შახტიორისა“ და ურალნის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:0 „შახტიორის“ სასარგებლოდ.

კიშინიოვის „მოლდოვამ“ თავის მოედანზე მიიღო ქვეჯგუფის ერთ-ერთი

გოლი უკანასკნელ წუთებში

ქუთაისის ტორპედოელებმა გუშინ თავის მოედანზე მიიღეს ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდი მოსკოვის „დინამო“. მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა ქუთაისელთა უპირატესობით. მათ ხელიდან გაუშვეს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 0:0.

მეორე ნახევარი კვლავ ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო, შემდეგ თამაში გათანაბრდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მატჩი ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ქუთაისელებმა ბოლო წუთებში მოადუნეს ყურადღება და, თამაშის დამთავრებას 10 წუთი რომ აკლდა, მათ კარში ბურთი გაიტანა მოსკოველმა შავცეკამ. სტუმრებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ეს უპირატესობა და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

ქუთაისში

ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა

16 მატჩი და 40 ტრავმირებული მოთამაშე! განა ბევრი არ არის ფეხბურთის ერთი ჩემპიონატისათვის, წესიერი სპორტული ბრძოლისათვის, რომელსაც სამ წელზე მეტ ხანს ძოველდენ ძველი მსოფლიოს სპორტის მოყვარულები? ორ ტურში ძყობრიდან გამოვიდა ოძენი ფეხბურთელი, რამდენიც თავისუფლად ძეადგენდა სამ გუნდს! ასეთი რამ არ მოსმენია არც ერთ ძსოფლიო პირველობაზე.

უხამსმა ინცინდენტებმა, განსაკუთრებით ჩილისა და იტალიის მატჩის დროს, აღაშფოთა ფიხალურ თამაშში მონაწილე გუნდების ბევრი ხელმძღვანელი. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის სტენლი როუზის მეთაურობით იძულებული იყო მეორედ შეკრებილიყო და ამჯერად მიემართა გადამჭრელი ზომებისათვის. ერთი თამაშით დისკვალიფიცირებულია იტალიელი ფერინი. მკაცრად გაფრთხილებულია მინდვრიდან გაძევებული პოპოვიჩი (იუგოსლავია), დავიდი (იტალია), კაბრერა (ურუგვაი), აგრეთვე ჩილიელი სანჩესი. ყველა მსაჯს კვლავ წინადადება მიეცა მკაცრად ებრძოლონ უხეშ მოთამაშეებს. თუ იტალიის, იუგოსლავიისა და ურუგვაის ფეხბურთელები კვლავ ჩაიდენენ უღირს საქციელს, საორგანიზაციო კომიტეტი მიიღებს უფრო მკაცრ ზომებს, არ მოერიდება ჩემპიონატიდან გუნდების მოხსნასაც კი. (საკდესი).

ARIKA:
სსრ კავშირი—ურუგვაი 2:1
SANT-IAGO:
ჩილი—გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 0:2
VINIA-DEL-MARI:
ბრაზილია—ესპანეთი 2:1
RANKAGUA:
არგენტინა—უნგრეთი 0:0

ი. ი. აბულაძე

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უხუცესი მუშაკი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სკკპ წევრი 1948 წლიდან, პროფესორი იუსტინე ირაკლის-ძე აბულაძე.

ი. აბულაძე დაიბადა 1874 წელს სოფელ როკითში (ყოფილი ბაღდათის, ამჟამად ოვაოვსკის რაიონი).

ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შედის პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთი ენების ფაკულტეტზე (ქართულ-სომხურ-სპარსული ფილოლოგიის განხრით), რასაც 1900 წელს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს. მრავალმხრივი ცოდნით შეიარაღებული ბრუნდება იგი საქართველოში და იწყებს პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას.

ოცი წლის განმავლობაში (1901-დან 1921 წლამდე) ი. აბულაძე მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილისის სასწავლებლებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე (1918 წ.) იუსტინე აბულაძე მოწვეულ იქნა სპარსული ენის ლექტორად. 1927 წელს მას მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1932 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდება.

მის მიერ შედგენილი სპარსული ენის გრამატიკა, გამოკვლევები სპარსული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლების შაჰნამეს და ვისრამიანის ქართული ვერსიების შესახებ, მეფეთა წიგნისა და „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემანი, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, ვისრამიანისა და შაჰნამეს ქართული ვერსიების ლექსიკონები, 150 სამეცნიერო ნაშრომი, რაც მის კალამს ეკუთვნის და რომლებშიც ქართული და ირანული კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხებია განხილული, საგულისხმო განძს წარმოადგენს ქართული მეცნიერების, კერძოდ, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების საქმეში.

პროფესორი იუსტინე აბულაძე მთელ სიცოცხლის განმავლობაში უმწიკვლოდ, მართალი გულით ემსახურებოდა ქართული კულტურის და მეცნიერების განვითარების საქმეს.

პროფესორები: გ. ახვლედიანი, გ. ფერეთელი, ა. ბარამიძე, ს. ჯიქია, დ. კობიძე, ვ. ბაბაშვილი, კ. ფერეთელი. დოცენტები: ვ. ფუთურიძე, კ. ფაღავა, ლ. თუშიშვილი, ა. ლეკიაშვილი, გ. ფუთურიძე.

კომუნისტი

ილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 3-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარ-
ული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშე-
ობლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-00, წერილების — 1-73-24, უცხო-
თის — 3-35-01, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღების — 1-64-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

УЭ 01037

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

8 ივნისი
პირველი პროგრამით

08.30 — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 09.20 — ესპანური მუსიკის კონცერტი, 11.00 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 11.15 — გადაცემა ციკლიდან — „საფორტეპიანო სონატის ისტორია“, 12.15 — შრომის სიმღერები“, 12.45 — ვალსები, 13.40 — სეხსანსი. კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, 17.20 — სიმღერები სამშობლოზე, მშვიდობასა და მეგობრობაზე, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „კომკავშირელი აქტივისტები“, 18.05 — ს. ცინცაძე. ფრაგმენტები ბალეტ „დემონიდან“, 18.45 — სიმღერები ინდური კინოფილმებიდან, 19.15 — ქართული კამერული მუსიკა, 19.45 — საუბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე, 20.20 — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა კონცერტი, 21.05 — გადაცემა — „პასუხი რადიომსმენელთა შეკითხვებზე“, 21.20 — გადაცემა კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის — კონცერტი-საუბარი: „ს. რახმანინოვი“, 22.20 — ლიტერატურული გადაცემა. ლენ უნკოტის მოთხრობა „შავი კატის ღიმილი“, 22.45 — კონცერტი.

7 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მშვიდობისათვის (მე-14 აბონ. მე-10 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — წვიმის გამყიდველი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რომეო და ჯულიეტა, **სანკულტურის** — ჩვენი ერთი საღამო (აბონ. № 9), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩიკორი (აბონ. № 47, 4 ს., აბონ. № 39, 7 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — ვლისო ვირსალაძე (ფორტეპიანო).

ტელევიზია

12.00 — მხატვრული ფილმი „ეოაო კარალის საიდუმლოება“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ეშმვიდობებიან საბავშვო ბაღს“ — კონცერტი საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მონაწილეობით, 18.30 — მოსწავლეთათვის — კინონარკვევი: „თეთრი მტრედი“, 18.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.10 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.30 — სატელევიზიო კონცერტი ციკლიდან — იცნობდეთ — ელმირა ურაზბაევა, 19.50 — კინოჟურნალი, 20.00 — სპორტული გადაცემა, 20.15 — ახალი ამბები, 21.30 — მხატვრული ფილმი „ეოაო კარალის საიდუმლოება“.

კინო

რუსთაველის სახელობის, **ამირანი** (საზამთრო), **ოქტომბერი,** **ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი,** **საქართველო** (წითელი დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო) — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **პლეხანოვის** სახელობის **კლუბი, ჭავჭავაძის** სახელობის **კლუბი** — მდუმარე კვალი, **კომკავშირელი** — სიგნალები ქალაქის თავზე, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), — ფატალი ხანი, **26 კომისრის** სახელობის (მეორე დარბაზი), **გორკის** სახელობის კულტურის სახლი — გზა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.